

## პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული

### პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომის

ო კ მ ი

9 დეკემბერი, 2010

სასტუმრო „რედისონ-ბლუ ივერია“

#### დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, დიმიტრი შაშკინის მისასალმებელი სიტყვა;
2. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელების ანგარიში (2010) - ირინე ქურდაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
3. USAID-ის პროფესიული განათლების პროგრამის განხორციელების ანგარიში და სამომავლო გეგმები - ნიკა ჩაჩხიანი, USAID-ის პროფესიული განათლების პროგრამის დირექტორის მოადგილე;
4. UNDP- ის პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემის ხელშეწყობის პროექტის ანგარიში - იანიტა პაულოვიჩა, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე;
5. IOM-ის კონსულტაციისა და დასაქმების პროექტის განხორციელების ანგარიში - ნათია კვიციანი, პროგრამის ხელმძღვანელი;
6. Inwent-ის მიერ 2010 წელს პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული პროექტების ანგარიში - ქეთევან ტატიშვილი, პროგრამის ასისტენტი;
7. NRC-ის მიერ 2010 წელს პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული პროექტების ანგარიში - ეკა ჟვანია, განათლების პროგრამის ხელმძღვანელი;
8. GTZ-ის მიერ 2010 წელს პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული პროექტის ანგარიში - პიტერ ვუნში, უფროსი მრჩეველი პროფესიული განათლების დარგში;
9. დისკუსია და კონფერენციის შეჯამება - ირინე ქურდაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე.

#### სხდომას ესწრებოდნენ:

1. დიმიტრი შაშკინი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;
2. ირინე ქურდაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
3. მარტინ კლაუკე - ევროკავშირის წარმომადგენლობის პროგრამების განყოფილების ხელმძღვანელი;
4. ნინო ყოჩიშვილი - ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების მენეჯერი;
5. ლალი ებანოძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

6. **პეტრე წურწუშია** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
7. **თამარ მამუკელაშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ევროკავშირში ინტეგრაციის სამმართველოს უფროსი;
8. **დავით კერესელიძე** - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
9. **თეა კვინტრაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
10. **მერაბ ნარმანია** - საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენელი;
11. **ირაკლი კახნიაშვილი** - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი;
12. **ჯამბულ ბაკურაძე** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე;
13. **ილია მაღალაშვილი** - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;
14. **ა. ლოლბერიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი;
15. **ნათია მიქელაძე** - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
16. **მარინე ჭოდოშვილი** - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;
17. **შორენა ჯაფარიძე** - დამოუკიდებელი ექსპერტი;
18. **თეა გულუა** - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
19. **დავით მჭედლიშვილი** - სსიპ ქობულეთის პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი;
20. **ზაზა ცირამუა** - სსიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი;
21. **დენის დავითაშვილი** - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე;
22. **ელგუჯა მელაძე** - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
23. **ქეთევან ტატიშვილი** - INWENT პროგრამის ასისტენტი;
24. **ნინო ჯანდიერი** - INWENT პროგრამის ხელმძღვანელი;
25. **იანიტა პავლოვიჩა** - გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე;
26. **რევაზ საყვარელიძე** - გაეროს განვითარების პროგრამის პროფესიული განათლების პროექტის მენეჯერი;
27. **მედეა კაკაჩია** - USAID განათლების პროგრამების კოორდინატორი;
28. **ნიკა ჩაჩხიანი** - USAID-ის პროფესიული განათლების პროგრამის დირექტორის მოადგილე;
29. **საბა სარიშვილი** - USAID-ის პროფესიული განათლების პროგრამის დასაქმების სამსახურის დირექტორი;
30. **მერი შიჰანი** - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი;
31. **პიტერ ვუნში** - GTZ-ის უფროსი მრჩეველი პროფესიული განათლების დარგში;
32. **ლალი სანთელაძე** - DVV *international*-ის საქართველოს ფილიალის დირექტორი;
33. **ეკა ჟვანია** - NRC განათლების პროგრამის ხელმძღვანელი;
34. **ლილი მულათო** - მსოფლიო ბანკი;

- 35. ნათია კვიციანი - IOM განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;**
- 36. თამარ სამხარაძე -** განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; საბჭოს სამდივნოს წევრი;
- 37. მაკა კურდღელია -** განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- 38. ანა მჭედლიშვილი -** განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
- 39. ნინო კოპალეიშვილი -** სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამების კოორდინატორი; საბჭოს სამდივნოს წევრი.

კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ბ-ნმა დიმიტრი შაშკინმა, მაღლობა გადაუხადა 2010 წელს პროფესიული განათლების სფეროში გაწეული საქმიანობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ ეს თანამშრომლობა 2011 წელს კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით გაგრძელდება.

აღინიშნა, რომ 2010 წელი, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარი, იყო ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ძალაში შევიდა ცვლილებები საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“, რითაც კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს რეფორმის პროცესი და საქართველოს განათლების სისტემის დაახლოება ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან. მინისტრმა ყურადღება გაამახვილა რეფორმის მიმართულეებზე და ისაუბრა პროფესიული განათლების დაფინანსების, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მენეჯმენტის დახვეწისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების შესახებ. მინისტრმა ისაუბრა იმ სიახლეებზე, რომელთა დანერგვაც პროფესიული განათლების სისტემაში 2011 წლიდან დაიწყება და დამსწრე საზოგადოებას სთხოვა აქტიურად ჩაერთონ ყველა აქტივობის დაგეგმვისა და იმპლიმენტაციის პროცესში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ქ-ნმა ირინე ქურდაძემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პროფესიული განათლების რეფორმის შუალედური სტრატეგიის განხორციელების ანგარიში და დეტალურად ისაუბრა 2010 წელს სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ. კერძოდ, ქ-ნმა ირინე ქურდაძემ ისაუბრა პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლების საკითხებზე, კანონზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის სექტემბრიდან და რომელმაც განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმებად განსაზღვრა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება და დადგინდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საფასური. ასევე მომზადდა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების პროექტი, რომელიც საჯარო განხილვის ეტაპზეა და ამოქვეყნებულია ვებ გვერდზე. ხარისხის განვითარების სისტემის ჩამოყალიბებაზე მუშაობა წარმოადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის მთავარ პრიორიტეტს. ამ პრიორიტეტის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. აღნიშნულ ცენტრში მუშაობა გააგრძელეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წელს ჩამოყალიბებულმა დარგობრივმა საბჭოებმა. 2010 წელს დარგობრივი საბჭოების აქტიური

მონაწილეობით მომზადდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, კვალიფიკაციების ნუსხა (კლასიფიკატორი) და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

2010 წელს დაინტერესებულ მხარეთა სამიტებისა და საჯარო განხილვების შემდეგ, დასკვნით ფაზაში შევიდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოზე მუშაობა და მოხდა მისი ინტეგრირება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან. ”ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს” მიღებით დაინერგება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სისტემა, რასაც ითვალისწინებს სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო (**The European Qualifications Framework for Lifelong Learning - LLL**). ეს სისტემა რეადაპტირდება და მოიცავს ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას. საქართველოს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო 5 დონიანია და თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაცივდება პროფესიული დიპლომი. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება.

შეიქმნა დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული საგანმანათლებლო მიმართულებები, დარგები/სპეციალობები, ქვედარგები/სპეციალიზაციები და პროფესიები. აღნიშნული კლასიფიკატორი დამტკიცდება მიმდინარე წელს.

მომზადდა 80-მდე პროფესიული სტანდარტის პროექტი. აღნიშნული პროექტები გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე ([www.nea.ge](http://www.nea.ge)), მიმდინარეობს საჯარო განხილვები და დისკუსიები. პროფესიული სტანდარტები დამტკიცდება უახლოეს დღეებში.

2011 წლიდან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიგეგმება ახალი საგანმანათლებლო პროგრამები. მიმდინარე წელს შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინის სარეკომენდაციო ფორმა. აღნიშნული ფორმის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უნდა მომზადდეს პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, განისაზღვროს სასწავლო და პრაქტიკის კომპონენტისათვის განკუთვნილი საათების რაოდენობა (პროცენტრული თანაფარდობა განისაზღვრება სტანდარტის მიხედვით), პროგრამის მიზანში განისაზღვროს პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონე, ხოლო სწავლის შედეგები აღიწეროს ”პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კონკრეტული საფეხურისა და დარგობრივი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

2010 წელს აქტიურად მიმდინარეობდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციის პროექტი, ასევე სასწავლო მასალების, სახელმძღვანელოებისა და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშემწყობი პროექტები. განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დევნილების, პატიმრების, ეთნიკური უმცირესობების, სოციალურად დაუცველების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ ისაუბრა ეროვნული პროფესიული საბჭოსა და მისი თემატური ჯგუფების მუშაობაზე. აღინიშნა, რომ თემატური ჯგუფების მიერ მომზადდა არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი და წინადადება, რომელსაც ეროვნული პროფესიული საბჭო ეტაპობრივად იხილავს.

საუბარი შეეხო ეროვნული პროფესიული საბჭოს მიერ 2010 წელს განხილულ საკითხებსა და დოკუმენტებს.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიის განხორციელების პროცესში სამინისტროს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ პარტნიორი ორგანიზაციები (INWENT, USAID, UNDP, IOM, GTZ, NRC, და სხვ.), რისთვისაც მადლობა გადაუხადა ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სთხოვა დამსწრე საზოგადოებისთვის წარედგინათ მოკლე ანგარიშები პროფესიული განათლების სფეროში 2010 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

დღის წესრიგის შესაბამისად, USAID-ის პროფესიული განათლების პროგრამის დირექტორის მოადგილემ, ნიკა ჩაჩხიანმა ისაუბრა 2010 წელს განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებსა და სამომავლო გეგმებზე. აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების განვითარების პროექტის ძირითადი მიზანია პროფესიული კოლეჯების ბაზაზე კვალიფიციური კადრების მომზადება სამშენებლო და ტურიზმის სფეროებში. ასევე, პროფესიული კოლეჯების სიცოცხლისუნარიანობის გაზრდა კერძო და საჯარო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ბ-ნმა ნიკა ჩაჩხიანმა პრეზენტაციისას ყურადღება გაამახვილა, იმ ფაქტზე, რომ USAID-ის პროფესიული განათლების პროექტის ფარგლებში, 2010 წელს შემუშავდა და დაიბეჭდა „კალატოზის“ საგანმანათლებლო პროგრამისათვის 500 ცალი სახელმძღვანელო. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 9 დასახელების სახელმძღვანელოზე სამშენებლო პროფილის პროგრამებისთვის.

ბ-ნმა ნიკა ჩაჩხიანმა აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელდა „ელექტრომედულების“ პროგრამის მასწავლებლების გადამზადება და ტრენინგები გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და დასაქმების თემებზე. ასევე, პროფესიული განათლების პროგრამის ფარგლებში გარემონტდა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭრვა 4 პროფესიული კოლეჯის სასწავლო-სახელოსნოები. ბატონმა ნიკამ მადლობა გადაუხადა სამინისტროს თანამშრომლობისთვის და დასძინა, რომ მომავალი თანამშრომლობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება.

გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ იანიტა პაულოვიჩამ წარმოადგინა განათლებისა და გადამზადების სისტემის ხელშეწყობის პროექტის ანგარიში. აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს, პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, მომზადდა და გამოიცა 13 დასახელების სახელმძღვანელო სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის დარგებში. სახელმძღვანელოები გადაეცა ყველა სსიპ-ის ფორმის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. პრეზენტაციისას აღნიშნა ის ფაქტიც, რომ სახელმძღვანელოების შესაბამისად შემუშავდა და განხორციელდა მასწავლებელთა გადამზადების 13 პროგრამა (პროფესიული და დარგობრივი უნარების ასამაღლებლად). ტრენინგში ჩართული იყო 31 მასწავლებელი გაეროს განვითარების პროგრამის პროექტში მონაწილე - კაჭრეთის, თელავის, ახალციხის, ქუთაისისა და ამბროლაურის პროფესიული კოლეჯებიდან.

ქ-ნი იანიტა პაულოვიჩა პრეზენტაციის ბოლოს სამომავლო გეგმებსაც შეეხო და თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

IOM-ის კონსულტაციისა და დასაქმების პროექტის განხორციელების ანგარიში წარმოადგინა ქალბატონმა ნათია კვიციანმა, რომელიც აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელია; ქ-ნმა ნათიამ

ისაუბრა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩამოყალიბებული კონსულტაციისა და დასაქმების ცენტრების შესახებ, ასევე სამომავლო გეგმებზე და ხელმოსაწერად გამზადებულ მემორანდუმებზე, რომელიც საქართველოს მასშტაბით არსებული 4 (თელავის, ახალციხის, ფოთის და ბათუმის) პროფესიული კოლეჯის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვას გულისხმობს.

პროფესიული განათლების განვითარების სფეროში აქტიურად ჩართული 2 გერმანული საერთაშორისო ორგანიზაცია - INWENT და GTZ -გაერთიანდა და წარმოადგინეს საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ-ს. აღნიშნულ შეხვედრაზე, ორივე ორგანიზაციამ წარმოადგინა პრეზენტაცია მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით. INWENT-ის წარმომადგენელმა ისაუბრა პროფესიული კოლეჯის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლობისთვის ჩატარებულ ტრენინგებზე, ისაუბრა ამ ტრენინგების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ მსგავსი ტრენინგების ჩატარებას მომავალ წელსაც გეგმავენ. ასევე, შეიმუშავებენ და გამოსცემენ წიგნებს პროფესიული კოლეჯის მასწავლებლებისათვის-პედაგოგიკის საკითხებში, ხოლო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის - სკოლის მენეჯმენტში. GTZ -ის წარმომადგენელმა, ბატონმა პიტერ ვუნშმა ისაუბრა იმ დოკუმენტზე, რომელიც გულისხმობს დაფინანსების ახალი სისტემის შემუშავებას.

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს (NRC) განათლების პროგრამის ხელმძღვანელმა, ქ-ნმა ეკა ჟვანიამ წარმოადგინა ანგარიში 2010 წელს პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული პროექტების შესახებ.

ღონისძიების დასასრულს გაიმართა დისკუსია.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ კონფერენციის მონაწილეებს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება პროფესიულ განათლებაში არსებული პრობლემების ერთობლივად გადაჭრისათვის.

სხდომის თავმჯდომარე:

ირინე ქურდაძე

სხდომის მდივანი:

თამარ სამხარაძე